

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. ფული და ფულის ექვივალენტები	13
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
6. ძირითადი საშუალებები.....	15
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
8. საგადასახადო ვალდებულებები	16
9. მისაღები დივიდენდები და პროცენტები.....	17
10. ამონაგები	17
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	17
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	18
14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	18
15. ფინანსური ხარჯი- წმინდა	18
16. სხვა შემოსავლები და ხარჯები	18
17. იჯარა	18
18. კაპიტალი	19
19. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
20. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.....	19

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,422,303	1,984,511	1,064,962
საინვესტიციო ქონება		-	-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-	-
		1,422,303	1,984,511	1,064,962
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	1,583,233	387,349	2,741,626
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	2,858,006	3,054,082	1,753,833
მარაგები	5	773,061	713,013	540,212
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		325,606	189,812	-
		5,539,905	4,344,256	5,035,671
მთლიანი აქტივები				
		6,962,208	6,328,767	6,100,633
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		6,386,111	5,586,758	4,456,530
გადაფასების რეზერვი		-	-	-
		6,386,111	5,586,758	4,456,530
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
ანარიცხები		-	-	-

გადავადებული შემოსავალი		-	-	-
		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	-	137,586
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	429,014	660,170	1,420,654
საგადასახადო ვალდებულებები	8	147,083	81,840	85,864
გადასახდელი პროცენტი		-	-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
		576,097	742,010	1,644,103
მთლიანი ვალდებულებები		576,097	742,010	1,644,103
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,962,208	6,328,767	6,100,633

შპს მაქს იმპორტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	10	17,179,753	19,618,710
თვითღირებულება	11	(14,668,170)	(16,828,398)
საერთო მოგება		2,511,583	2,790,312
სხვა შემოსავლები	16	505,208	62,150
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(684,149)	(559,375)
მიწოდების დანახარჯები	13	(660,039)	(850,593)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(14,673)	(9,303)
სხვა ხარჯები	16	(515,107)	-
საოპერაციო მოგება		1,142,823	1,433,190
ფინანსური შემოსავალი		221,684	189,812
ფინანსური ხარჯი		-	(9,802)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	15	221,684	180,010
მოგება დაბეგვრამდე		1,364,507	1,613,200
მოგების გადასახადი		(84,802)	(72,446)
წმინდა მოგება		1,279,706	1,540,754
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,279,706	1,540,754

შპს მაქს იმპორტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	-	-	4,456,530	4,456,530
წმინდა მოგება	-	-	1,540,754	1,540,754
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,540,754	1,540,754
გაცემული დივიდენდი	-	-	(410,526)	(410,526)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	5,586,758	5,586,758
წმინდა მოგება	-	-	1,279,706	1,279,706
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,279,706	1,279,706
გაცემული დივიდენდი	-	-	(480,352)	(480,352)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	6,386,111	6,386,111

შპს მაქს იმპორტი

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	31/12/2021	31/12/2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1,279,706	1,540,754
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	41,581	44,129
- გადასახადები	84,802	72,446
- ცვეთა	97,769	142,390
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- ცვლილება ანარიცხებში	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	66,022	
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	14,673	9,303
- წმინდა ფინანსური ხარჯი/ შემოსავალი	(221,684)	(180,010)
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
 ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	 (26,198)	 (2,246,685)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	196,045	(1,300,250)
- მარაგები	(60,048)	(172,800)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(227,438)	(769,610)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	65,243	(4,024)
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	-	-

ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1,295,089	(661,801)
- მიღებული პროცენტი	85,890	-
- გადახდილი პროცენტები	-	(9,802)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(84,802)	(72,446)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,296,178	(744,048)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(50,667)	(1,061,940)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	449,085	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
- მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	398,418	(1,061,940)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულებების ზრდა	-	(137,586)
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	-
- გადახდილი დივიდენდები	(480,352)	(410,526)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(480,352)	(548,112)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	1,214,243	(2,354,100)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	387,349	2,741,626
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(18,360)	(177)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	1,583,233	387,349

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

მაქს იმპორტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 30 აგვისტოს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2021 წელი	2020 წელი
დავით ზურაბიშვილი	100%	100%

კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 20189 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2020 და 2021 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2019 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს შემცირებულია კომპანიის გამოუმუშავებული წმინდა მოგება - 1 279 706 ლარი (2020 წელს 1 540 754 ლარი) ,ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. საზოგადოების ძირითადი კლიენტები გადახდისუნარიანია. ნედლეულის მოწოდების მხრივ კომპანიას არა აქვს და არც მომავალში ელის სიძნელეებს. პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა არ დგას დღის წესრიგში. გამოშვებული პროდუქციის ბუნებიდან გამომდინარე მისი გაფუჭების ან გაუფასურების საფრთხე არ არსებობს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ , როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით , ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში შედის პირდაპირი დანახარჯები (მასალები, მუშების შრომითი ანაზღაურება), ასევე ზედნადები

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	1,419,761	294,913
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	163,471	92,437
სულ	1,583,233	387,349

ნაღდი ფულის ნაშთი 2021 წელს მოიცავს ფულად საშუალებებს უცხოურ ვალუტაში (2135 აშშ დოლარის ექვივალენტი 6613,3 ლარი). ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,207,709	1,257,247
გადახდილი ავანსები	347,147	93,835
მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან	1,303,000	1,703,000
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	150	
სხვა მოთხოვნები		
სულ	2,858,006	3,054,082

მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან მოიცავს არადაკავშირებულ კომპანიებზე გაცემულ მოკლევადიან სესხებს განაკვეთით 11,3 % და 12 %.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2021	2020
ნედლეული და მასალები	635,648	616,304
დაუმთავრებელი წარმოება		-
მზა პროდუქცია	137,412	96,708
სულ	773,061	713,012.68

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 12 742 743 ლარი (2020 წელს 14 258 773 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურება არ მომხდარა.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2020	518,830	113,590	712,907	10,414	890,715	41,558	2,288,013
შემოსვლა გადაფასება			3,682	2,377	44,609		50,667
გასვლა	-	-	220	5,989	564,683		570,892
31 დეკემბერი 2021	518,830	113,590	716,368	6,802	370,641	41,558	1,767,789
ცვეთა და გაუფასურება							-
31 დეკემბერი 2020	-	934	159,876	4,118	132,340	6,234	303,502
პერიოდის ცვეთა	-	2,241	59,301	1,021	35,205		97,769
გასვლა	-		37	2,446	53,302		55,785
31 დეკემბერი 2021	-	3,175	219,140	2,693	114,243	6,234	345,486
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
31 დეკემბერი 2020	518,830	112,656	553,030	6,296	758,375	35,324	1,984,511
31 დეკემბერი 2021	518,830	110,415	497,228	4,108	256,398	35,324	1,422,303

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. ცვეთის მეთოდი წრფივი

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	421,552	643,367
მიღებული ავანსები	7,462	16,803
სულ	429,014	660,170

8. საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	117,308	56,887
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება		5,573
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა		
საშემოსავლო გადასახადები		2,500
დღგ	-	1,220
ქონების გადასახადი	-	4,401
საპენსიო სააგენტო	784	1,265
სხვა		-
საბაჟო გადასახადები	28,991	9,993
სულ	147,083	81,840

9. მისაღები დივიდენდები და პროცენტები.

	2021	2020
მისაღები დივიდენდები	-	-
მისაღები პროცენტები	221,684	189,812
	221,684	189,812

10. ამონაგები

	2021	2020
საქონლის გაყიდვა	17,136,045	19,485,219
მომსახურების გაწევა	31,543	125,941
მომსახურების გაწევა - საერთაშორისო გადაზიდვები	12,165	7,550
სულ	17,179,753	19,618,710

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, აგრეთვე თანამშრომელთა შრომის პირდაპირ დანახარჯებს, საწვავს, ელექტრო ენერგიას .

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის დანახარჯებს (სატვირთო ავტომანქანები, წისქვილი და ა.შ.) 279 997 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციის ხელფასებს (74591 ლარი) , ძირითადი საშუალებების ცვეთას (97768 ლარი) , სხვა საგადასახადო ხარჯებს და სხვა ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 48 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე (318438 ლარი), 30 % შრომის ანაზღაურებას (197565 ლარი). დანარჩენი მოიცავს სხვა მიწოდების ხარჯებს.

14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობა/ზარალი უკავშირდება მხოლოდ საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს.

15. ფინანსური ხარჯი- წმინდა

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი უკავშირდება გაცემული და მიღებული სესხების პროცენტებს.

16. სხვა შემოსავლები და ხარჯები

სხვა შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოიცავს ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს, ხოლო სხვა ხარჯები - ხარჯს ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან.

17. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მიწა და ფართი ოფისისათვის, აგრეთვე რიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

18. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს დასრულდა საგადასახადო შემოწმება (30,12,2021), რომლის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა ჯარიმა საურავები ჯამში 337 459.12 ლარის ოდენობით, 2022 წელს მოხდა აღნიშნულის გასაჩივრება. 2022 წლის ივნისის თვეში საჩივარი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, რომლის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 105 251.72 ლარის ოდენობით, საზოგადოების მხრიდან მისი გასაჩივრება აღარ მომხდარა და იგი ჩაითვალა აღიარებულად 2022 წლის ივლისში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხები სრულად არის გათვალისწინებული და საგადასახადო ვალდებულებების ნაშთი პერიოდის ბოლოს რეალურად და სრულად ასახავს კომპანიის ვალდებულებებს სახელმწიფოს მიმართ 31,12,2021 - ისათვის.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ სესხად გასცა არაფინანსურ საწარმოებზე 1 200 000 ლარი.

20. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020-2021 წლებში COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე. მიუხედავად ამისა შპს მაქს იმპორტის საქმიანობისა და გასაყიდი საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე , საზოგადოების შემოსავლები წინა წლებთან შედარებით ბევრად არ შემცირებულა, ხოლო ძირითადი მომხმარებლები არ დამდგარან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე და არც მომავალში აქვს კომპანიას მსგავსი მოლოდინი.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2022 წელი

